საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოხეჩო

თოხეჩო, ფეხეჩო (ქართლ-კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი), მძიმე ეჩო (ქართლი), დიდი ეჩო (ქსნის ხეობა), ხის სათლელი იარაღი. თ. შედგება პირის, ტანის, ყუისა და ხელტარისაგან. ტრაპეციის ფორმის რკინის გალესილ პირს მარჯვნივ და მარცხნივ „ნიღრები" აქვს. პირის შუა ნაწილში „ყელია" მოთავსებული, რ-შიც ჯდება ეჩოს ხელტარი. ეჩოს ტარი ყელთან სქელია, შემდეგ ვიწროვდება და ბოლოში მოხრილია.

თ-თი სრულდებოდა „მსხვილი სათლელი სამუშაოები", თლიდნენ სახვნელი იარაღების რვილებს, კევრის ფიცრებს, ურმის დედნებს და ა. შ.

ლიტ.: გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962; რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბ., 1950.

გ. გასიტაშვილი